საექსპერტო დასკვნა

საწარმოო საამქროს რეკონსტრუქციის კორექტირებული პროექტის

კონსტრუქციულ ნაწილზე

OOO ,,MQS საქართველო“ ლილოს სადგურის

მიმდებარე ტერიტორიაზე

ქ. თბილისი 2 მარტი 2018 წ.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ზემოთაღნიშნული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი და კორექტირებული გენგეგმა ელექტრონული ვერსიის სახით.

ადრე დაპროექტებელი ნაგებობა წარმოადგენს გეგმაში მართკუთხედის ფორმის შენობას, რომლის გაბარიტული ზომებია 72 მ. × 18 მ-ზე. კორპუსის სიმაღლე 10 მ-ია ფერმის ქვედა სარტყელის ძირის ნიშნულამდე. ხოლო ქედში 12,70 მ-ია Δ 0.00 ნიშნულიდან.

განაპირა მალში (ღერძები ,,12“-,,13“) ჩაშენებულია 3.0 მ. სიმაღლის სათავსოები.

გრძივი პარამეტრია 6,0 მ. × 12 მ. , ხოლო განივი პარამეტრი 6,0 მ. × 3,0 მ.

საწარმოო საამქროს მზიდი ნაწილი გადაწყვეტილია ლითონის ჩონჩხედის კონსტრუქციებში, მონ. რ/კ ბეტონის წერტილოვან საძირკვლებზე დაფუძნებით.

კორპუსის მზიდი ჩონჩხედი გაანგარიშებულია მომქმედ ვერტიკალურ და შესაძლო ჰორიზონტალურ დატვირთვებზე (სეისმიურობა 8 ბალი). თუმცაღა გასათვალისწინებელია ქარის დატვირთვაც ქარის ზემოქმედებისას ნარჩენი დეფორმაციების წარმოქმნის გათვალისწინებით.

ნაკვეთზე ჩატარებული გეოლოგიური კვლევა-ძიების სამუშაოების თანახმად სამშენებლო მოედნის ლითოლოგიური ჭრილი შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

მიწის ზედაპირიდან 1,5 – 2 მ სიღრმეზე განთავსებული ფენა N1 - ნაღარი გრუნტები თიხნარი მუქი ყავისფერი სამშენებლო ნარჩენების, ხვინჭისა და ღორღის ჩანართებით. აღნიშნული ფენა ფუძის გრუნტებათ არ განიხილება.

ქვემოთ განფენილია ღია ყავისფერი ძლიერ თაბაშირებული თიხნარეულ-ქვიშნარეული შემავსებლით 30 %-მდე ხრეშოვანი გრუნტები. ფენის პირობითი საანგარიშო წინაღობა 4,0 კგ/სმ2.

კორექტირებულ პროექტში დამატებულია გადასასვლელი საპროექტო ნაგებობისა და არსებულ სამსართულიან შენობის შორის. ამას გარდა ადრე დაპროექტებულ საწარმოო კორპუსის განაპირა მალში ჩაშენებულია საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსოები.

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს ჩაშენებული ნაწილი გადაწყვეტილია კომპლექსურ კონსტრუქციებში, ხოლო ორი შენობის დამაკავშირებელი გადასასვლელი გადაწყვეტილია ლითონის კონსტრუქციებში. შემოსილია გარე ფასადების და სახურავის ფართზე სენდვიჩპანელებით.

ჩაშენებული ნაგებობა ამოყვანილია 20 სმ სიგანის კედლებით და გაძლიერებულია მონ. რ/ბ-ის ჩანართებით და გაძლიერებულია წყობა არმირებით, გადახურულია მონ. რ/ბ-ის ფილით, რომლის სისქე 20 სმ. ჩაშენებული ნაწილი შეკრულია (ე.წ. სარტყელის ფუნქცია) გადახურვის დონეზე მონ. რ/ბ-ის კოჭები რომლის კვეთი 20×40 სმ (λ) გადახურვის ფილის სისქის ჩათვით.

კორექტირებული პროექტის მიხედვით სვეტების ქვეშ მოწყობილია ადგილობრივი ჩაღრმავებები რკინაბეტონისაგან, რომლებიც უფრო იატაკის გაძლიერებით შეიძლება ჩაითვალოს ვიდრე საძირკვლებად, რაც შეეხება კედლების წყობას ის უშუალოდ კორპუსის იატაკზეა დაყრდნობილი.

როგორც არქიტექტურული ნახაზებიდან ირკვევა ჩაშენებული ნაწილის გადახურვის სიმაღლე 2,90 მ-ია ამ დონეზევე უერთდება ორი შენობის შორის მოწყობილი გადასასვლელი (როგორც ეს არქიტექტურული გრძივი ჭრილიდან ჩანს) საწარმოო კორპუსს.

წარმოდგენილი კონსტრუქციული ნახაზების მიმართ ექსპერტს აქვს შემდეგი შენიშვნები:

1. კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დაუდევრადაა შესრულებული გაფორმების თვალსაზრისით (აკლია ნიშნულება განმარტებითი

ბარათი, ნახაზები შესსრულებულია სქემატურად) იქმნება შთაბეჭდილება, რომ პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია ფორმალურად.

2. არ არის დამუშავებული გადასასვლელის დაყრდნობის კვანძი არსებულ და დაპროექტებულ შენობების მზიდ კონსტრუქციებზე.
3. არ არის წარმოდგენილი არსებული საწარმოო კორპუსის მზიდ ნაწილთან ჩაშენებული სათსვოს მზიდი კონსტრუქციების ჩამაგრების ან დამაგრების კვანძები, იგულისხმება რომ იგი მთლიანად მოჭრილია საწარმოო კორპუსისაგან. ამ შემთხვევაში ისმის კითხვა რა კონსტრუქციიდან ამოდის კედლების ჩანართების ვერტიკალური არმატურის ღეროები. თუ ისინი იატაკისქვეშა საძირკვლებიდან ამოდის მაშინ ჩაშენებული ნაწილი კონსოლურად მუშაობს სეისმიური დატვირთვების შემთხვევაში და საჭიროა ამ მომენტის გაანალიზება კონსტრუქციულ ანგარიშებში.
4. მონ. რ/ბ-ის გადახურვის ზედა მუშა ღეროები უნდა ჩაანკერდეს შემომსაზღვრელ რიგელ-სარტყელებში.
5. არაა მითითებული წყობაში ჩასაანკერებელი ღეროების დიამეტრი და ბიჯი სიმაღლეზე.
6. არ არის დამუშავებული ჩამოსასვლელი ლითონის კიბის კონსტრუქცია საწარმოო კორპუსის შიგნით.

საბოლოოდ დასკვნის სახით შეიძლება ავღნიშნოთ, რომ აუცილებელია კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს მიეცეს სათანადო სახე, გათვალისწინებულ იქნას ექსპერტის შენიშვნები და მხოლოდ ამ ცვლილებების შემდეგ იქნება შესაძლებელი აღნიშნული ნახაზების რეკომენდირება ნებართვის აღებაზე წარსადგენად.

ექსპერტი-კონსტრუქტორი თ. ლაზარიაშვილი

საბოლოო კონსტრუქციული დასკვნა

საწარმოო კორპუსის კორექტირებულ ვარიანტზე იუმაშევის ქ. N51

ტერიტორიაზე, ლილოს სადგურის მიმდებარედ

ქ. თბილისი 17.03.2018 წ.

ექსპერტის შენიშვნები გათვალისწინებულია სრული მოცულობით, წარმოდგენილია კორექტირებული ნახაზები. აქედან გამომდინარე საწარმოო კორპუსის კორექტირებულ პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება და უფლება წარდგენილ იქნას სამშენებლო ნებართვის აღებაზე.

ექსპერტი-კონსტრუქტორი თ. ლაზარიაშვილი